



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 160

ქ. ბათუმი
01 ნოემბერი 20 13წ.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი
პირის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს - სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაზა მახარაძე
დირექტორის პირველი მოადგილე
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი